



სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია

2019-2025

2019

1. შესავალი
2. ევროპის უნივერსიტეტის მისია
3. ევროპის უნივერსიტეტის ხედვა
4. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების პროცედურები
5. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და აქტივობები
 - 5.1 უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა
 - 5.2 სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
 - 5.3 გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
 - 5.4 ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების ინიცირება
 - 5.5 ინდივიდუალური კვლევითი პროექტების ინიცირების ხელშეწყობა
 - 5.6 კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება
 - 5.7 მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება
 - 5.8 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება
 - 5.9 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა
6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმები
 - 6.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი და ხელშემწყობი ინსტიტუციური მექანიზმები
 - 6.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები
 - 6.2.1 კვლევის დაფინანსების წესი
 - 6.2.2 აფილირების წესი
 - 6.3 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები
7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები

1. შესავალი

ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს ხედვას უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

2. ევროპის უნივერსიტეტის მისია

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

3. ევროპის უნივერსიტეტის ხედვა

2025 წლისათვის ევროპის უნივერსიტეტი არის ღია აკადემიური სივრცე, რომელიც ავითარებს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, კომფორტულ და ადაპტირებულ სასწავლო, სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, იზიდავს და ეფექტიანად ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თვითრეალიზებას; აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობით ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ მობილობას.

4. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების პროცედურები

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის სამუშაოები წარმართა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამონაწილეობით. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნა თანამონაწილეობის, გუნდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარმართა შემდეგ ძირითად ფაზებად:

ა. ინიცირების ფაზა

პროცესი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიის შესაბამისად 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებას.

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: რექტორი, ვიცე-რექტორები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი, კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფინანსური სამსახურის უფროსი,

იურიდიული სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების დეკანები.

ბ. სტრატეგიული გეგმის მომზადებისა და განხილვის ფაზა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სამომავლო ხედვის ფორმირება და მისი შესაბამისობის დადგენა “ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტთან”.

სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის პირველადი ვარიანტი და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებთან ერთად, მიეცათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მიეღოთ უკუკავშირი დოკუმენტის შემქმნელი სამუშაო ჯგუფის წევრებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა და საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მიღებულ იქნა საბოლოო დოკუმენტი.

გ. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ფაზა

სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავებულ იქნა 2019-2025 ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის პროექტი. სტრატეგიის დოკუმენტი მოწონებულ იქნა და საბოლოოდ დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ.

5. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და აქტივობები

ა. მიზანი

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მიზანია ინოვაციური კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განხორციელება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება.

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის უნივერსიტეტი გეგმავს შედეგზე ორიენტირებული, როგორც შიდა, ასევე ერთობლივი და ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინიცირებას საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის, კვლევით ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან და დონორ დაწესებულებებთან ერთად; ახალგაზრდა, პროგრესული მეცნიერების დაინტერესებას, კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის სტიმულირებას; ქართულ ენაზე მოთხოვნადი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის როგორც შექმნას, ასევე მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებას; კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შიდა პროცედურების დანერგვას და მოზიდული მკვლევრების მაქსიმალურ ხელშეწყობას საჭირო დაფინანსების მოპოვებასა და სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისი სტანდარტების დაცვით წარმართვაში. ასევე, კვლევების შედეგების კომერციალიზაციის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, რომ შედეგად უნივერსიტეტმა შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა სამართლის, ფსიქოლოგიის, ბიზნესისა და ეკონომიკის, მედიცინის მიმართულებებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებაში, ამ ცოდნის საზოგადოებისათვის გაზიარებაში და დაიკავოს სასურველი ადგილი უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგების სისტემაში.

ბ. ამოცანები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წინსვლისა და ღირებული ცოდნის დაგროვებისათვის, 2019-2025 წლებისათვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა შემდეგი ამოცანები:

- უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;

- ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების ინიცირება;
- ინდივიდუალური კვლევითი პროექტების ინიცირების ხელშეწყობა;
- კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება;
- მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

გ. აქტივობები

უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, მოკლევადიან (3 წლიან) პერიოდში განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

5.1 უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა

უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასების და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და აკადემიური პერსონალის რესურსების შეფასება;
- სამეცნიერო-კვლევითი რესურსების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და დაფინანსება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროფილებისა და პრიორიტეტიზაციის გაზიარება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

5.2 სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- სამეცნიერო ჟურნალის "სამართალი და მსოფლიო" რეიტინგის შემდგომი ამაღლება;
- სამართლის კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება;
- სამართლის კვლევების მიმართულებით განაცხადის წარდგენა საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად;
- ინსტიტუტის საქმიანობის არეალის გაფართოება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინსტიტუტის როლის ზრდა და მისი სოციალური ფუნქციის გაძლიერება.

5.3 გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- სამეცნიერო ჟურნალის "გლობალიზაცია და ბიზნესი" რეიტინგის შემდგომი ამაღლება;
- გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება;
- გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევების მიმართულებით განაცხადის წარდგენა საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად.

- ინსტიტუტის საქმიანობის არეალის გაფართოება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინსტიტუტის როლის ზრდა და მისი სოციალური ფუნქციის გაძლიერება.

5.4 ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების ინიცირება

ინტერდისციპლინური და ინდივიდუალური კვლევების ინიცირების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- კვლევითი გრანტების შესახებ აკადემიური პერსონალის სისტემატური და ეფექტური ინფორმირების სისტემის დახვეწა და დანერგვა;
- აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა კვლევითი გრანტების მოპოვების მიზნით;
- უნივერსიტეტის არსებული ადამიანური რესურსების კვლევით-სამეცნიერო პოტენციალის შეფასება და შესაბამისი ჯგუფების შექმნა კვლევით-სამეცნიერო გრანტების მოპოვების ინიცირებისათვის;
- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა.

5.5 ინდივიდუალური კვლევითი პროექტების ინიცირების ხელშეწყობა

აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მიერ ინდივიდუალური კვლევითი პროექტების ინიცირების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- ინდივიდუალური კვლევითი გრანტების შესახებ აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სისტემატური და ეფექტური ინფორმირების სისტემის დახვეწა და დანერგვა;
- საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ინდივიდუალური კვლევითი გრანტების მოპოვების მიზნით;
- ინდივიდუალურ კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება.

5.6 კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება

უნივერსიტეტის პრიორიტეტია სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების დაინტერესება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გზით. ასევე, ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერა, გაეცნოს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშეწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და აითვისოს სამეცნიერო საგრანტო პროექტების შედგენის საკვანძო მომენტები.

უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტს განუვითაროს უნარი მასშტაბურად შეხედოს თავის პროფესიას, მის წინ მდგარ სამეცნიერო-კვლევით ამოცანებს და ეხმარება მას ნებისმიერი კვლევის თანმხლები თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში.

კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისების მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვის წახალისების მექანიზმის შემუშავება და განხორციელება;
- კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და მეცნიერების მონაწილეობის დაფინანსება;
- კვლევის მეთოდების სწავლების ხარისხის ამაღლება;
- პროექტის „საუკეთესო მკვლევარი სტუდენტი“ განხორციელება და პოპულარიზაცია.

5.7 მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- სამედიცინო ჟურნალის დაფუძნება და რეიტინგის მოპოვება;
- მედიცინის მიმართულებით კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
- გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინიცირება განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად;
- კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება;
- კვლევების განხორციელების მიზნით, სამედიცინო კვლევით ბაზებთან პარტნიორობის ინიცირება და შეთანხმება.

5.8 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (1988), ლისაბონის კონვენციის (1997), სორბონის დეკლარაციისა (1998) და საბოლოოდ, ბოლონიის დეკლარაციაზე (1999) ხელის მოწერით საქართველომ გამოხატა საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღო უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში და, მათ შორის, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაში. შესაბამისად, ევროპის უნივერსიტეტი იღებს ამ გამოწვევას და ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

კვლევების ინტერნაციონალიზაციას ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მობილობა, საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოპოვება და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობითი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება. ასევე, მათთან თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო კვლევის შესახებ პუბლიკაციების მომზადება და დაბეჭდვა მაღალრეიტინგულ და მაღალიმფაქტორიან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით განისაზღვრა შემდეგი აქტივობები:

- საერთაშორისო აკადემიურ პროექტებში მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო ღონისძიებებში უცხოელი პარტნიორების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- გაცვლითი აკადემიური პროექტების მიმართულებით დამატებითი შესაძლებლობების შექმნა;
- უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაძლიერება.

5.9 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობის შეფასება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციისთვის აუცილებელი სხვადასხვა მექანიზმების შესწავლა და შერჩევა;
- შესაბამისი ბაზრის შესწავლა და პოტენციური პარტნიორების მოძიება.

6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია სხვადასხვა ინსტიტუციური, ფინანსური, სამართლებრივი და წამახალისებელი ინსტრუმენტები. მათი ერთობლიობა ქმნის მოქნილ და კომფორტულ გარემოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. ეს ინსტრუმენტებია:

6.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი და ხელშეწყობი ინსტიტუციური მექანიზმები ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, ამ ეტაპზე, ფუნქციონირებს სამი ორგანიზაციული სტრუქტურა. ესენია:

ა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ყველა მიმართულებით;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია უნივერსიტეტის მასშტაბით;
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროცესებში ჩართულობის, მათი სამეცნიერო-კვლევითი-შემოქმედებითი და საკონსულტაციო საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის შიგნით კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე ზრუნვა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაზე ზრუნვა;
- უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამგზავრების მხარდაჭერა სამეცნიერო ღონისძიებებზე, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
- უნივერსიტეტის კვლევითი რესურსების შესწავლა;
- ინსტიტუციური და ინდივიდუალური გრანტების მოძიება;
- პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან თანმიმდევრული და პროფესიონალური ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- უნივერსიტეტის ფარგლებში გრანტებზე მომუშავე ჯგუფ(ებ)ის კოორდინაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოძიების პროცესის მართვა;
- სტრატეგიების, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; გრანტების მოძიებასა და მიღებასთან დაკავშირებით მუდმივ რეჟიმში შეთავაზებების შემუშავება.

ბ. სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამართლის სფეროში.

ინსტიტუტი თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ასევე, ახორციელებს უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში მათ მიერ ლექციების წაკითხვას. გამოსცემს სამართლის დარგში სამეცნიერო ჟურნალს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. ახდენს უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას. აღნიშნული ინსტიტუტი ეხმარება უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაერთონ კვლევით საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში.

გ. გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი

წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური

პრობლემების სფეროში. ინსტიტუტი თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ასევე, ახორციელებს უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში მათ მიერ ლექციების წაკითხვას. გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „გლობალიზაცია და ბიზნესი“ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. ინსტიტუტი ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობებს. თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან. მონაწილეობას იღებს პროექტებსა და კონკურსებში, ასევე გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად.

დ. მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი

მედიცინის ფაკულტეტზე დაარსებულია მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებს ტუბეკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბაზაზე. ინსტიტუტი ხელს უწყობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში. ინსტიტუტი ახდენს საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების ასევე სამეცნიერო მიმართულებით ტრენინგების ორგანიზებას; ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გარდა ინსტიტუტის ფარგლებში იგეგმება სამეცნიერო ჟურნალის „Journal of Biomedicine and Medical Sciences“ დაარსება და გამოცემა.

6.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

6.2.1 კვლევის დაფინანსების წესი

ევროპის უნივერსიტეტში მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნის, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების ნდობის ჩამოყალიბების, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურების შექმნისა და მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპების დანერგვის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტში იქმნება შიდასამართლებრივი აქტი „კვლევების დაფინანსების წესი“.

წესი ადგენს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესს და პროცედურებს, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ინიცირება, გადაწყვეტილების მიღება და აპელაციის პროცედურები.

6.2.2 აფილირების წესი

აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტთან და მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტი „აფილირების წესი“.

6.3 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები

ევროპის უნივერსიტეტში შექმნილია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების

დამკვიდრებას.

დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები

აკადემიური, მათ შორის აფილირებული პერსონალის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდის, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებისა და შემოქმედებითი ინიციატივების გაღვივების მიზნით, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით, ახდენს შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული საკითხი რეგულირებულია უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტით „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“.